პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 117
(3347)

18

1967 წ.
ივნისი,
კვირა,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის
28-ე წელი

სპორტული კლუბები „უშბა“ და „ფოლადი“

ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია მოწინავედ ითვლება თბილისის ის ფიზკულტურული კოლექტივი, რომლის საბჭოს თავმჯდომარეა ო. გვახარია და რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ორგანიზაცია. ისინი მუდამ წარმატებით ასპარეზობენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, ყოველთვის გადაჭარბებით ანაღდებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებს, აქვთ საკუთარი ბაზები...

მაგრამ ეს კოლექტივები სპორტკლუბის სახელის მოპოვებისთვის დებულებით გათვალისწინებულ ყველა პუნქტს ვერ ასრულებდნენ. ამიტომ იყო, რომ ბოლო წლებში მათ გულდაგულ შრომა გააჩაღეს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად: კიდევ უფრო გაიზარდა ბაზების ქსელი, შეიქმნა ბავშვთა სპორტული სკოლები, იმატა სექციების რიცხვმა და ა. შ.

წლეულს საქართველოს სპორტკავშირმა წარადგინა სათანადო მასალები ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისთვის სპორტკლუბის სახელის მისანიჭებლად. და აი, ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოდან „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოში მოვიდა სასიხარულო დეპეშა. მასში ნათქვამია: ფიზკულტურულ ორგანიზაციას, რომლის საბჭოს თავმჯდომარეა ო. გვახარია, მიენიჭა სპორტკლუბის სახელი და ამიერიდან ეწოდება სპორტკლუბი „უშბა“; რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივს კი დაერქვა სპორტკლუბი „ფოლადი“.

გუშინ...

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე გაიმართა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ბრნოს „სპარტაკის“ ქალთა გუნდების მეორე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. ამჯერადაც გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მატჩის ანგარიშია 49:36 (22:22).

საქართველოს სპორტკავშირში

ისინი გამარჯვებას სჭედდნენ

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა შარშან ნაყოფიერად იშრომეს, გეგმა-ვალდებულების ყველა მაჩვენებელი გადაჭარბებით შეასრულეს და მერვედ მოიპოვეს სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის საქალაქო, აგრეთვე, კასპის, ზუგდიდის, მახარაძის, მცხეთის, ახალციხისა და ჩოხატაურის რაიონების სპორტკავშირებმა, რომლებმაც ფიზკულტურელთა რიგებში გააერთიანეს მოსახლეობის 25-30 პროცენტი, საგრძნობლად გადააჭარბეს ნიშნოსნების, თანრიგოსნების, საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმას და დიდი წვლილი შეიტანეს სპორტის ოსტატთა მომზადების რესპუბლიკური გეგმის შესრულებაში. მარტო თბილისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშან 120 სპორტის ოსტატი მოამზადეს; ქუთაისში მომზადდა 24 სპორტის ოსტატი, აჭარასა და ტყიბულში — 11-11, რუსთავში — 8, ზუგდიდსა და მცხეთაში — 4-4, კასპში — 3, მახარაძეში — 2...

შარშან წარმატებას მიაღწიეს ბათუმის, ჭიათურის, ბორჯომის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ხაშურისა და ცხაკაიას სპორტკავშირების საბჭოებმაც, რომელთაც გარდა იმისა, რომ გეგმის ძირითადი მაჩვენებლები გადაჭარბებით შეასრულეს, აღზარდეს და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მისცეს რამდენიმე მაღალკვალიფიციური სპორტსმენი.

შარშან მოპოვებული წარმატებისთვის ჩვენი რესპუბლიკის სპორტკავშირის პრეზიდიუმის ბიურომ საქართველოს სპორტკავშირის გარდამავალი წითელი დროშებითა და სიგელებით დააჯილდოვა: ქუთაისის საქალაქო სპორტკავშირის საბჭო; კასპის, ზუგდიდისა და მახარაძის რაიონების სპორტკავშირის საბჭოები.

საქართველოს სპორტკავშირის ალმებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ: რუსთავისა და გორის საქალაქო, აგრეთვე, მცხეთის, ახალციხისა და ჩოხატაურის რაიონების სპორტკავშირების საბჭოები.

საქართველოს სპორტკავშირის საპატიო სიგელები დაიმსახურეს: ბათუმისა და ტყიბულის საქალაქო, აგრეთვე, ბორჯომის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ხაშურისა და ცხაკაიას რაიონული სპორტკავშირების საბჭოებმა.

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს საპატიო სიგელებითა და ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ სპორტკავშირის თავმჯდომარეები: გ. რცხილაძე (თბილისი), შ. მეავანაძე (აჭარის ასსრ), ლ. ახვლედიანი (ქუთაისი), ო. ჯებაშვილი (რუსთავი), გ. მეყანწიშვილი (გორი), ზ. ბარათაშვილი (ჭიათურა), ე. თხილაიშვილი (ბათუმი), გ. კიკაჩეიშვილი (კასპი), კ. ხორავა (ზუგდიდი), თ. ხუროშვილი (მცხეთა), ჟ. გოგალაძე (ახალციხე), დ. ჩხიკვაძე (ჩოხატაური), ო. კიშინსკი (მახარაძე), ვ. ოქრუაძე (ტყიბული), მ. ლაზარევი (ბორჯომი), დ. ნაცვლიშვილი (გურჯაანი), ყოფილი თავმჯდომარე ს. ხუროძე (დუშეთი), კ. ბაზაძე (ზესტაფონი), გ. წილოსანი (ლანჩხუთი), მ. ელერდაშვილი (საგარეჯო), შ. ოქრიაშვილი (თეთრი წყარო), კ. ხვედელიანი (ხაშური), შ. ჩიქობავა (ცხაკაია).

სპორტული საათი...

ტურინი, 16 ივნისი. იტალიისა და სსრ კავშირის ჩემპიონთა — ადგილობრივი „იუვენტუსისა“ და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0. საინტერესო თამაშს თვალყურს ადევნებდა 30.000 მაყურებელი. შესვენებამდე მეტწილად კიეველები უტევდნენ, მეორე ტაიმში კი — მასპინძლები. ამ მწვავე წუთებში შესანიშნავად ითამაშა დინამოელთა მეკარე ბანიკოვმა.

◆ ლონდონი, 16 ივნისი. ბეკნემში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში კენტის საგრაფოს პირველობაზე ა. მეტრეველი და ს. ლიხაჩოვი ვაჟთა წყვილების ფინალში გავიდნენ. საბჭოთა დუეტმა ნახევარფინალში დაამარცხა ინდოელები ჯ. დავანა და შ. მინოტრუ — 6:4, 6:4. ვაჟთა ერთეულების ტურნირს გამოეთიშა ა. მეტრეველი: ნახევარფინალში მან წააგო ავსტრალიელ ო. დევიდსონთან — 3:6, 3:6. ნახევარფინალი ბოლო საფეხური გამოდგა საბჭოთა ჩოგბურთელი ქალების წყვილისთვისაც: გ. ბაკშეევამ და ა. დმიტრიევამ ფარ-ხმალი დაყარეს ინგლისელებთან — ჯ. ჯონსთან და ვ. ვეიდთან მატჩში — 6:4, 5:7, 4:6.

◆ კუალა-ლუმპური, 16 ივნისი. მალაიზიამ უარი თქვა ოლიმპიურ შესარჩევ საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობაზე (იგი აზიის II ჯგუფში ირიცხებოდა).

◆ **სოფია,** 16 ივნისი. ბულგარეთის ჩემპიონი ფეხბურთში წლეულს გახდა პლოვდივის „ბოტევი“. გათამაშების ბოლოსწინა ტურში მან ფრედ (0:0) ითამაშა სოფიის „სპარტაკთან“ და მიუწვდომელი შექნა მეტოქეთათვის.



ხმელნიცკის ოლქის სოფელ რუჟიჩნის კოლმეურნეობა „კომუნარის“ ტბაზე ჩატარდა სსრ კავშირის პირადი პირველობა ბაიდარებსა და კანოეში. უძლიერესი სპორტსმენები იბრძოდნენ ნაკრებ გუნდში მოსახვედრად, რომელიც ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

სურათზე: ბაიდარებით წარმატებით იასპარეზეს უკრაინელმა სპორტსმენებმა ა. შაპარენკომ (მარჯვნივ) და ი. სტეცენკომ. მათ არავის დაუთმეს პირველობა 500 და 1.000 მეტრზე, ხოლო შაპარენკომ არნახული შედეგით დაამთავრა ათასმეტრიანი დისტანცია — 3 წუთსა და 48,3 წამში.

ფოტო ვ. სტეპანენკოსი (საკდესი).

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი
II ჯგუფი

ფეხ
ბურ
თი 67

„ლოკომოტივს“ გაუჭირდა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 17 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0 (0:0).

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, მირიანაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, იაშვილი, მუმლაძე, პელიძე (მაზიაშვილი), კაიშაური, გავაშელი, კოშკელოვი.

„შირაკი“: სეკეპიანი, პაპოიანი, ტანოიანი, სემერჯიანი, მ. ბარსეგიანი, შევჩენკო, კარაპეტიანი, შიტოიანი, მრიანი, მელქონიანი, ჟ. ბარსეგიანი.

მსაჯი ტ. ველიევი (ბაქო).

წლევანდელი „შირაკი“ დიდ ხიფათს არ წარმოადგენს მეტოქეთათვის. ამ გუნდს საკმაოდ აქვს წაგებული თამაშები, მათ შორის, დიდი ანგარიშითაც, ერთობ უშედეგო თავდასხმა ჰყავს და „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება. თბილისის „ლოკომოტივს“ თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა მასთან ბრძოლა, მით უმეტეს, რომ რკინიგზელებმა ბოლო ტურებში შესამჩნევად გამოასწორეს თავიანთი სატურნირო მდგომარეობა.

მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. თბილისელებმა, მართალია, შეძლეს 2 ქულის აღება, მაგრამ გამარჯვება მოპოვებულ იქნა მხოლოდ მძიმე, ძალზე მძიმე ბრძოლის შემდეგ და ერთადერთი გოლის გატანას დაჭირდა ძალების მაქსიმალური დაძაბვა.

„შირაკმა“ მთელი ძალებით, სრული თავგამოდებით ჩაატარა მატჩი. გუნდის თვითეული წევრი, მთლიანად კოლექტივი შესაშური ენერგიითა და თავგანწირვით იბრძოდა და თბილისელებს არ მიეცათ საშუალება გაეშალათ ნამდვილი იერიში. კიდევ მეტიც: მთელ რიგ შემთხვევებში „ლოკომოტივის“ კარი მეტისმეტად სახიფათო სიტუაციაში იმყოფებოდა, — შეტევის ნაცვლად საჭირო ხდებოდა საკუთარი დაცვისათვის დახმარების გაწევა.

ერთი სიტყვით, რკინიგზელთა გამარჯვებას არა ჰქონდა დამაჯერებელი ხასიათი და გუნდს ძალიან გაუჭირდა მოგება. ერთადერთი გოლი ლენინაკანელთა კარში 69-ე წუთზე გაიტანა გავაშელმა კარგად შესრულებული ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ.

რ. ქორიძე.

მოტოგადარბენა „ოქტომბრის დროშა“

ტერესპოლი, 16 ივნისი. სახალხო პოლონეთის ლიუბლინსკის სავოევოდოს ათასობით მცხოვრებმა მოიყარა თავი სასაზღვრო მდინარე ბუგთან, რათა საბჭოთა კავშირიდან მოსულ მოტომოლაშქრეებს შეხვედროდნენ. მოტოგადარბენა „ოქტომბრის დროშის“ მარშრუტი ევროპის სოციალისტური ქვეყნების გზებზე გადის. ლაშქრობაში მონაწილეობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სტუდენტი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობა, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები, ომის ვეტერანები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ფაშისტური უღლისგან ამ ქვეყნების გათავისუფლებაში.

საზეიმო შეხვედრის შემდგომ გაიმართა დიდი მიტინგი, რომლის ლეიტმოტივი გახლდათ: დაე, კიდევ უფრო გამტკიცდეს სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის მეგობრობა!

სტუმრებმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების ძეგლის კვარცხლბეკი.

მოტოგადარბენის მონაწილეები პოლონეთში ეწვევიან ვარშავას, კრაკოვს, პორონინს და სხვა ისტორიულ ადგილებს, აგრეთვე დაათვალიერებენ ყოფილ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკს ოსვენციმში.

მოცურავემ გაასწრო მძლეოსნებს

კუს ტბაზე ამას წინათ გაიმართა „განთიადის" საქალაქო მძლეოსნური კროსი, რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. სტარტზე 200 სპორტსმენი გამოვიდა. 500 მეტრზე ქალთა რბენაში თავიდანვე დაწინაურდა... მოცურავე, 17 წლის ლ. ტიურკოვა (სპორტკლუბი „უშბა"). ეს იყო მისი მეორე გამოცდა მძლეოსნობაში. ტიურკოვას მხარდამხარ მიჰყვებოდა თანაგუნდელი ა. ნიკოგოსოვა, მაგრამ მერე მათ წამოეწია სპორტკლუბ „ფეიქრის" გუნდის წევრი ა. ზაქაიძე, რომელმაც საბოლოოდ II ადგილი მოიპოვა — 1.51,0. პირველობა წილად ხვდა ტიურკოვას — 1.50,2. ნიკოგოსოვა III ადგილით დაკმაყოფილდა.

ერთ კილომეტრზე ვაჟთა რბენაშიც უშბელმა სპორტსმენმა — ა. ჩერეპუხინმა ისახელა თავი — 3.16,0. მას 3 წამით ჩამორჩა ელმავალმშენებელი ქარხნის მუშა შ. გეგეშიძე. ა. ოსტროპოლცის („ფეიქარი") შედეგია 3.25,0, რამაც მას III ადგილი მოუპოვა.

თბილისის ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისნის" მექანიკოსმა ნ. სტრუჩენკოვმა საგაზაფხულო კროსი მოიგო. მერე განთიადელ მძლეოსანთა საქალაქო ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა 3 კილომეტრზე, ახლა კი 2-კილომეტრიან კროსში ცადა ძალა და ისევ პირველმა დაამთავრა დისტანცია — 7.20,0. მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს გ. სტროგეცკიმ და ს. ხახვაძემ (ორივე — ელმავალმშენებელი ქარხანა).

ვ. ბუკინი,
I კატეგორიის მსაჯი.

◆

ქარელის საჭიდაო სარბიელი ამ დღეებში რაიონის საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე ფალავნებს დაეთმოთ.

გუნდური პირველობა მოიპოვეს ზემო ხვედურეთის წარმომადგენლებმა, რომელთაც გადაეცათ კიდეც თასი.

• • •

სურათზე: მძიმე წონის მოჭიდავეთა გ. ელანდიშვილისა (ქარელი) და ქ. ქიტიაშვილის (ზემო ხვედურეთი) შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ს. პოლოხიანისა.

◆

თორმეტმა პირველად

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა „განთიადის" სამტრედიის რაისაბჭოს პირველობა რუსულ შაშში, მძლეოსნობასა და ტყვიის სროლაში.

შაშში გაიმარჯვა „საქჩაის" სამტრედიის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა. II ადგილი წილად ხვდა კულაშის საქსოვი ფაბრიკის გუნდს.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაშიც მექანიკური ქარხნის სპორტსმენებმა ისახელეს თავი. II ადგილზე გავიდნენ აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის წარმომადგენლები.

მძლეოსანთა ასპარეზობაში ყველაზე უკეთ მომზადებული გუნდი გამოიყვანა სამტრედიის ხისდამმუშავებელმა კომბინატმა. ამ საწარმოს მძლეოსნებმა 3.150 ქულა დააგროვეს და პირველობაც დაისაკუთრეს. კულაშელი მქსოველები აქაც II ადგილზე გავიდნენ, მექანიკური ქარხნის სპორტსმენები კი III ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ტურნირებში 12 მოასპარეზემ პირველად შეასრულა III თანრიგის ნორმა.

ჯ. ვაშაკიძე.

სამტრედია.

[illegible]

◆ ქუთაისი

თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს სპარტაკიადა ტექნიკუმებს შორის. ასპარეზობა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადას მიეძღვნა. გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. I ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდათ კოოპერაციული ტექნიკუმის სპორტსმენებს. II ადგილზე გავიდა ავტომექანიკური, ხოლო III — სატყეო ტექნიკუმი. II ჯგუფში ჩემპიონობა დაისაკუთრა სამედიცინო სასწავლებელმა. II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს კულტსაგანმანათლებლო და მუსიკალურმა სასწავლებლებმა.

ზ. ნიჟარაძე.

◆ თელავი

ახლახან აქ გაიმართა თბილისის ტრანსპორტის სამმართველოსა და თელავის „განთიადის" ხელბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრები. ფრენბურთელთა მატჩში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1, ხელბურთში კი — სტუმრებმა — 23:22.

გ. ბალარჯიშვილი.

◆ მესტია

ამას წინათ აქ გაიმართა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობასა და მძლეოსნობაში. ასპარეზობდა 270-ზე მეტი მოსწავლე. მძლეოსნობაში გუნდური პირველობა მესტიელებს დარჩათ, ხოლო ქართულ ჭიდაობაში ყველას აჯობეს ლატალელმა სპორტსმენებმა.

ბ. მჭედლიანი.

◆ ყაზბეგი

სოფ. არშის სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში რაიონის სპარტაკიადის პროგრამის მიხედვით. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ყაზბეგის საშუალო სკოლის ნაკრებმა. ჩემპიონები გახდნენ: ჭაბუკებში — ო. დავითაშვილი, გოგონებში — ლ. ქირიკაშვილი (ორივე — ყაზბეგის სკოლა).

ი. ლუდუშაური,
ყაზბეგის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

სპორტსმენებს — საუკეთესო სამედიცინო მომსახურება!

მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და რესპუბლიკის სპორტკავშირმა თვალსაჩინო ყურადღება დაუთმეს ნაკრები გუნდების სამედიცინო მომსახურებას. სამინისტროს მიერ გაცემული საგანგებო ბრძანება ითვალისწინებს როგორც სპორტსმენთა კვალიფიციურ საექიმო შემოწმებას სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის, ისე მათ სისტემატურ საექიმო, პედაგოგიურ და სანჰიგიენურ მეთვალყურეობას.

მართალია, რესპუბლიკურ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ნაკრები გუნდების სამედიცინო კონტროლის განყოფილება, მაგრამ რესპუბლიკური, თბილისის № 1 და № 2 საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ექიმების განაწილება სპორტის თითქმის ყველა სახეობაზე. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ, რომელმაც № 1 საექიმო ფიზკულტურის დისპანსერს ექიმის 5 საშტატო ერთეული დაუმატა.

ამჟამად რესპუბლიკის ყველა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში დიდი მუშაობა ტარდება სპორტსმენთა კომპლექსური შემოწმებისთვის.

საქმის წარმატებისთვის საჭიროა ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა მეტი დახმარება გაუწიონ დისპანსერებს, ხოლო რაც შეეხება თვით სპორტის სახეობებზე მიმაგრებულ ექიმებს, მათ მართებთ უფრო ზუსტი კონტროლი დააწესონ სპორტსმენთა გეგმიან შემოწმებაზე.

ამ საკითხის გადაჭრა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სპორტული მედიცინის დარგში მომუშავე ექიმებისთვის. წვრთნის თანამედროვე მეთოდები სპორტსმენისაგან მოითხოვს დიდ კუნთურ მუშაობას, რაც მხოლოდდამხოლოდ კარგი ჯანმრთელობისა და ორგანიზმის მაღალი ფუნქციური მდგომარეობის წყალობით შეიძლება განხორციელდეს.

ახლა დგება პერიოდი, როცა სპორტსმენები თანდათან შედიან ფორმაში. უდავოა, რომ სპარტაკიადამდე წვრთნა ერთი დღითაც არ უნდა შეწყდეს, მაგრამ საჭიროა იგი ისე წარიმართოს, რომ სპორტსმენი ნაადრევად არ აღმოჩნდეს კარგ სპორტულ ფორმაში. კიდევ უფრო საშიშია გადაწვრთნის, ან გადაძაბვის მდგომარეობა.

ამ სერიოზული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისთვის მწვრთნელის მიერ სწორად შერჩეულ მეთოდთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულარულ საექიმო-პედაგოგიურ მეთვალყურეობას სპორტსმენზე.

როგორც ცნობილია, საექიმო-პედაგოგიური მეთვალყურეობა საექიმო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა და გულისხმობს სპორტსმენის სხეულის რეაქციის შესწავლას უშუალოდ წვრთნის პირობებში. სწორედ ექიმისა და მწვრთნელის შეთანხმებული მუშაობითაა შესაძლებელი სპორტსმენთა ფიზიკური დატვირთვის რეგულირება და ამით სპორტული ფორმის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება. ასეთი მუშაობა ნაკრებ გუნდებთან უკვე დაწყებულია, მაგრამ საჭიროა, რომ იგი უფრო სისტემატური ხასიათისა იყოს.

გარდა სისტემატური საექიმო მეთვალყურეობისა, სწორი წვრთნისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას და ჰიგიენის ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა კვება, დასვენება, რაციონალურად ჩატარებული შეკრებები და სპორტულ ნაგებობათა სათანადო სანიტარული მდგომარეობა.

რესპუბლიკის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების გამგეობას სპორტული მედიცინის ფედერაციის პრეზიდიუმთან ერთად გარწრახული აქვს აქტიური დახმარება გაუწიოს ნაკრებ გუნდებზე მიმაგრებულ საექიმო პერსონალს, რათა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის სპორტსმენებს კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება არ მოაკლდეთ.

რ. სვანიშვილი,
რესპუბლიკის საექიმო ფიზკულტურის მთავარი სპეციალისტი, დოცენტი.

მწვავე ბრძოლაში

რესპუბლიკური სპარტაკიადის დღეებში „განთიადის" აუზზე მოხული მაყურებლების დიდი ინტერესი გამოიწვია ზურგზე ცურვაში ქალთა შეჯიბრებამ, სადაც რამდენიმე ნიჭიერი გოგონა ცდიდა ძალას.

სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

ასპარეზობენ მოსწავლეები

აბაშის სპორტსკოლაში გაიმართა რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩებმა.

ასევე კარგად ჩატარდა შეჯიბრება შაშში, რომელშიც 30-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. გუნდური I ადგილი აქაც 1-ლი სკოლის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. გოგონებში ყველას აჯობა ც. ახობაძემ, ჭაბუკებში — ვ. გვაზავამ.

რ. შანტურია.
(ჩვენი კორ.).

აბაშა.

სპარტაკიადები

„სპორტის დედოფლის" ფავორიტები

ზაქო, 16 ივნისი. აზერბაიჯანის საიუბილეო სპარტაკიადაში „სპორტის დედოფალმა" ფავორიტებად იუნიორები აირჩია. საკმარისია ითქვას, რომ პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში პრიზიორთა შორის იხილავთ 15-17 წლის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ყველაზე ახალგაზრდა, 14 წლის ვალენტინა ინჟუვატოვა უძლიერესი იყო 100 მეტრზე მორბენლებში. იუნიორმა ვ. კომლევმა გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში.

1500 მეტრზე რბენაში აზერბაიჯანის იუნიორთა ახალი რეკორდი დაამყარა 17 წლის ოსტატობის კანდიდატმა... მოშაშე ვ. ასკარიანმა. პატარა ქალაქ ნეფტეჩალის მოსწავლე გოგონებმა „შეასწორეს" იუნიორთა რეკორდი ესტაფეტაში 4×200 მეტრზე.

ფინალური სტარტების ნამდვილი გმირი გახლდათ 16 წლის ნ. ბრინცევა, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში 173 სმ აჩვენა და წლეულს უკვე მეორედ გააუმჯობესა რესპუბლიკის რეკორდი მოზრდილებისთვის.

ჭაბუკებმა შეცვალეს ჩემპიონები პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში. თუმცა, იყო გამონაკლისიც. მაგალითად, ბირთვის კვრაში გაიმარჯვა ყველა წინა სპარტაკიადის ჩემპიონმა, იურისტმა ზ. სადიხოვმა.

რესპუბლიკური სპარტაკიადა დღეს დამთავრდა გამარჯვებულ გუნდთა დაჯილდოებით. მსაჯთა კოლეგიამ იანგარიშა, რომ ამ ასპარეზობაში მონაწილეობდა ერთნახევარჯერ მეტი სპორტსმენი, ვიდრე წინა სპარტაკიადაში.

რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში შეტანილია 120 შესწორება. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა პერიფერიის ბევრმა სპორტსმენმა.

მაღალტექნიკურ, ბრძოლისუნარიან სპორტსმენებად გვიჩვენეს თავი ნახჭევანის ფრენბურთელმა ვაჟებმა. ნამდვილი სენსაცია მოახდინა კლასიკური სტილის მოჭიდავემ, ნეფტეჩალელმა ა. ყურბანოვმა. 27 წლის ათლეტმა ფინალურ შეჯიბრებაში შესაშური თანმიმდევრობით წმინდად მოუგო ყველა მეტოქეს. ამასთან, აკიფი წუთზე მეტს არც ერთ ბრძოლას არ ანდომებდა. ყურბანოვი უძლიერესი იყო ქვემძიმე წონაში. იგი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში შეიყვანეს.

ასპარეზობის შემდეგ რესპუბლიკის თანრიგოსანთა რიგებს შეემატა 190 ათასზე მეტი გოგონა და ჭაბუკი (ეს ორჯერ მეტია წინა სპარტაკიადასთან შედარებით).

ზეინკალი, მწვრთნელი, მსაჯი...

ტალინი, 16 ივნისი. ის, რომ ვ. კინგისეპის სახელობის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ზეინკალი ი. ლოარუ ესტონეთის სპარტაკიადაში მსაჯად მიიწვიეს, მის კოლეგებს არ გაჰკვირვებიათ. იუჰანს იცნობენ არა მარტო კარგ სპეციალისტად, არამედ აქტიურ საზოგადოებრივ მწვრთნელადაც. მისი ხელმძღვანელობით ვარჯიშობს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა 30-მდე მოყვარული. ისინი ამაყობენ თავიანთი აღმზრდელით. სსრ კავშირის სამგზის, რესპუბლიკის 12-გზის ჩემპიონი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მრავალ შეჯიბრებაში გამარჯვებული — ასეთია ი. ლოარუს სპორტული მოღვაწეობის მოკლე დახასიათება. წლეულს იუჰანს 60 წელი უსრულდება.

თავის მდიდარ გამოცდილებას ლოარუ დიდის მონდომებით გადასცემს ახალგაზრდებს. მთელი ქვეყანა იცნობს მის აღზრდილს ი. როოტსს — სსრ კავშირის ორგზის და წინა სპარტაკიადის ჩემპიონს. სპორტულ სარბიელზე პირველი ნაბიჯი ლოარუს ხელმძღვანელობით გადადგა ესტონეთის შარშანდელმა ჩემპიონმა სამბოში პ. ტამსაარმა, კომბინატის მემანქანე ხ. ვალერმა კი წლეულს ესტონეთის დედაქალაქის საუკეთესო მოჭიდავის სახელი მოიპოვა.

გამარჯვება ბოლო წამებში

თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებისთვის გფრ-ის გუნდი ახალი ხილი იყო, მაგრამ მატჩი მაინც დაუზვერავად დაიწყო, თუმცა მეტოქეები არ იცნობდნენ ერთმანეთის თამაშის სტილს. თავიდანვე ქართველმა ხელბურთელებმა მიაღწიეს მეტ წარმატებას. საქმე ისაა, რომ გერმანელები, როგორც წესი, ფლანგებიდან ნაკლებად უტევდნენ და მოედნის კუთხეებს უმთავრესად გათამაშებისთვის იყენებდნენ. ბურევესტნიკელები კი პირიქით, — ფლანგებიდან კარზე შეტევის არც ერთ მომენტს არ ტოვებდნენ გამოუყენებელს. გერმანელები სწორედ ამას არ მოელოდნენ და მატჩის დასაწყისშივე თბილისელებმა 2 ლამაზი გოლი გაიტანეს (ჯერ კარტოზიამ, შემდეგ ფხაკაძემ). ამ მოულოდნელმა ტაქტიკურმა ხერხმა სტუმრები დააბნია და შეხვედრის 23-ე წუთზე მასპინძლები 5 ბურთით დაწინაურდნენ — 10:5. შესვენებამდე რომ რაღაც 7 წუთი დარჩა, მოედანი დატოვეს ანთაძემ და კარტოზიამ. მათ მაგიერ თამაშში ჩაებნენ გაზდელიანი და ბუნაძე. ახალ ძალას თითქოს უნდა გაემტკიცებინა თბილისელთა წარმატება, მაგრამ პირიქით მოხდა. კარგად აწყობილი თამაში გაუფერულდა და გერმანელებმა შესვენებამდე ანგარიშის გათანაბრებაც კი მოახერხეს 10:10.

მეორე ტაიმში კვლავ თავდაპირველი შვიდეული გამოვიდა (აბაიშვილი, ცერცვაძე, ანთაძე, ზარდალიშვილი, ექსეულიძე, კარტოზია, ფხაკაძე), მაგრამ დაკარგული უპირატესობის აღდგენა არ მოხერხდა. პირიქით, გერმანელები გვჯობდნენ სისწრაფეში და თითქმის შეხვედრის ბოლომდე გარკვეული უპირატესობაც ჰქონდათ — 12:11, 13:12, 14:13, 15:13, 16:14, 17:16... ბოლო წუთებზე ტაბლოზე სამჯერ აინთო საყაიმო ციფრები—17:17, 18:18, 19:19. მატჩის დამთავრებამდე 20 წამი რომ დარჩა, ა. ექსეულიძემ გამარჯვების ქულა მოუტანა თავის გუნდს — 20:19.

ჩვენმა ხელბურთელებმა ამჯერად ჩვეული ოსტატობა ვერ გამოავლინეს. ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ ხანგრძლივი შესვენების მერე მათ მხოლოდ ახლახან დაიწყეს ვარჯიში. დანკერზენის „გრიუნ-ვაისს" კი წუნი არ დაედება ტექნიკური მომზადების მხრივ. მაგალითად, ჩვენი სტუმრები შესანიშნავად ფლობენ კარში ტყორცნის მრავალფეროვან ხერხს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გფრ-ისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ჰ. ლიუბკინგი. საკმარისია ითქვას, რომ თბილისელებთან მატჩში მან არც ერთი ბურთი არ ააცილა მიზანს. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა მოთამაშე ზ. შუტემ, რომელიც ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ლიუბკინგს. კარგი მეკარეები გერმანელებს საერთოდ არ ჰყავთ. გამონაკლისი არც „გრიუნ-ვაისის" მეკარე ჰ. მაიზელე გახლავთ, რომელმაც ბევრი იოლი ბურთი გაუშვა. პირველ ტაიმში ვერც ჩვენი კარის ქებულმა დარაჯმა ჯ. აბაიშვილმა გვასახელა, თუმცა, შესვენების შემდეგ მან კარგად ითამაშა.

ამ მატჩში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა ცერცვაძემ — 9. ლიუბკინგი 7 გოლის ავტორია. დანარჩენი ბურთები გაიტანეს: ზარდალიშვილმა — 4, ექსეულიძემ, შილმანმა, ჰოიერმა, შპანუტმა — 3-3, ფხაკაძემ, შუტემ — 2-2, ანთაძემ, კარტოზიამ, ბერლახმა—თითო.

ზ. ირინაული.

* * *

სურათზე: ა. ექსეულიძე უტევს გერმანელთა კარს. ჰ. ლიუბკინგს (მარჯვნივ) ისღა დარჩენია, თვალი გააყოლოს ბურთს, რომელმაც გერმანელთა კარის ბადეში ამოყო თავი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ახალი ამბები

● კოპენჰაგენი, 16 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პოლონელმა ე. ჩერნიკმა სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 208 სმ და უკან ჩამოიტოვა ევროპის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი მადიუბო და სენტ-როზა (ორივე — საფრანგეთი). მათ 205 სმ დაძლიეს. ფრანგმა ჟ. ვადუმ 1500 მეტრზე რბენა კარგი შედეგით (3.40,9) მოიგო. ასევე მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ II და III ადგილებზე გასულ პოლონელ ვ. ბარანსა (3.41,6) და ჩეხოსლოვაკიელ ი. ოდლოჟილს (3.41,9).

● **პროვო (აშშ),** 16 ივნისი. **ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ეს ქალაქი 100 იარდზე რბენაში მსოფლიო რეკორდის გამეორების მოწმე შეიქნა: ზანგმა მძლეოსანმა ჩ. გრინმა აჩვენა 9,1 და ოლიმპიური ჩემპიონის ბ. ჰაიესის (აშშ) მიერ 1963 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი გაიმეორა. გრინი მესამე სპორტსმენია, რომელმაც ეს შეძლო.**

● **ვარშავა, 16 ივნისი.** იშვიათი შემთხვევა მოხდა იტალიის „ფიორენტინასა" და პოლონეთის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრაში. მატჩი სულ... 62 წუთს გაგრძელდა და კოკისპირული წვიმის გამო შეწყდა, როცა ანგარიში 1:1 იყო.

● **პარიზი,** 16 ივნისი. **ინგლისელ ფ. ჩიჩესტერს, რომელმაც ამას წინათ დედამიწის გარშემო იმოგზაურა იახტით, აქ გადაეცა საფრანგეთის სპორტის აკადემიის სპეციალური პრიზი: „მამაცური სპორტული მოგზაურობისთვის".**

● *ოლდერშოტი (ინგლისი), 16 ივნისი. აქ დამთავრდა გფრ-ის, უნგრეთისა და დიდი ბრიტანეთის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: უნგრეთი — 15115 ქულა, გფრ — 13771, დიდი ბრიტანეთი — 13678. პირად ტურნირში გაიმარჯვა ინგლისელმა ფოქსმა — 5332 ქულა. მსოფლიო ჩემპიონმა ბალცომ (უნგრეთი) 5178 ქულა მოაგროვა, ხოლო მისმა თანამემამულემ მონაშ — 5068.*

● ტულა, 16 ივნისი. „ტულის დიდ პრიზზე" 6 ქვეყნის — გდრ-ის, იტალიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტთა საერთაშორისო ასპარეზობის ბოლო დღეს გაიმართა სპრინტერული რბოლები ტანდემებით. ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა ი. იანსონმა და ვ. კოოპმანმა. საბჭოთა წყვილი ა. აგაპოვი — ი. ლუკიანოვი გამარჯვებულებს ოდნავ ჩამორჩა. III ადგილიც საბჭოთა ველოსიპედისტებმა ვ. ლოგუნოვმა და ვ. ნიკიფოროვმა დაისაკუთრეს. პროგრამის გარეშე გაიმართა სპრინტერული რბოლა, რომელშიც ყოველი ქვეყნის თითო სპორტსმენი ასპარეზობდა. საბჭოთა კავშირიდან გამოდიოდა 17 წლის ოდესელი მოსწავლე ვ. სემენეცი, რომელმაც IV ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა ი. გეშკემ (გდრ).

ქართული სპორტის ქრონიკა

„გლდანელს გაუმარჯვნია, მოსალოდნელიც იყო.

იმერეთში, საერთოდ ღონიერი კაცები მოიპოვებიან, მაგრამ სიმარჯვე და ხერხი აკლიათ, რაც ფალავნისთვის თავიდათავი საქმეა".

(„დროება", 1884 წ. № 241)

„ამ თვის პირველს ჭიდაობა იყო გამართული თეატრში (ქუთაისში. — ვ. ს.). მოჭიდავენი იყვნენ ორი ფალავანი — მეგრელი ესებუა და რაჭველი ქვათაძე. ამ ორს ფალავანს თავიანთი ღონე ნაცადი აქვსთ გლდანელთან. ჯობნით რომელმა აჯობა ძნელი სათქმელია".

(ქუთათური მემატიანე. „დროება", 1885 წ. № 118)

„ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის „ივერიის" საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგს, რომლის თაოსნობითაც ქ. ბათუმში ამ თვის 5-ს იყო გამართული ჭიდაობა, საიდგანაც ჩემდამი რწმუნებული სკოლის სასარგებლოდ შემოვიდა სამოცდა-სამი მანეთი".

ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე.

(„ივერია", 1886 წ. № 218)

„ქუთაისი. ქუთაისის ქართველობას ძალიან ეხალისება ჭიდაობის ყურება. ამ დიდ-მარხვაში ტომსონის ცირკს ეწვია მოჭიდავე გლდანელი. მოსვლის უმალ მეორე დღესვე ქუთაისის ქუჩებში გააკრეს აჭრელებული აფიშები და შიგ, სხვათაშორის, მოიხსენიეს, რომ გლდანელი ეჭიდავება გამოჩენილ მოჭიდავესო. ცირკში ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. გათავდა თუ არა წარმოდგენა, ხალხი მოუთმენლად მოელოდა ფალავნების გამოსვლას. აგერ გამოჩნდნენ კიდეც სცენაზე გლდანელი და ერთი ვიღაც მაჩანჩალა. ხელის წავლება გლდანელისა და ამ „მაჩანჩალას" მჭვარივით მიწაზე მოთრევა ერთი იყო... არ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, რა სამწუხაროდ დარჩა ხალხს ამისთანა უმსგავსო ჭიდაობა. საშინლად აღელდნენ გულ-ფიცხი იმერლები და ამაღელვებელი იყო სწორედ. როდესაც ცირკის მოსამსახურემ გამოაცხადა, რომ ჭიდაობა გათავდაო, გამოვარდა ერთი იმერელი და დაიძახა: მე ხომ მოჭიდავე არა ვარ და არც არაფერი ვიცი ჭიდაობისა, მაშ გამოვიდეს ის გლდანელის „ფარდი" და მე დავეჭიდები იმასო. მოწინააღმდეგე გაიქცა ცირკიდან და თვით გლდანელი კი გამობრძანდა გულ-ხელ დაკრეფილი და თავ-ჩალუნული. თითქო თავს აბრალებს ხალხსაო... აქ გლდანელის მომხრენი გლდანელს მიექომაგნენ...

ტომსონმა კიდევ გამართა ჭიდაობა ამ თვეში სამშაბათს. აქ სხვა პირობა იყო დადებული: ასი მანეთი მიეცემოდა იმას, ვინც გაიმარჯვებდა, ისე რომ თავისი მოწინააღმდეგე ზურგზედ დაეცა... შეებრძოლნენ მოჭიდავენი. ვიღაც მედროგე და ღონღაძე. ორივენი კარგი ზორბა კაცები იყვნენ, მაგრამ ერთს პერანგი გადასძვრა და გააშველეს. ჩააცვეს ხელმეორედ და მეორედ აჭიდავეს. ამ ჭიდაობაში მედროგემ ღონღაძე ჩააჩოქა და ამ ჩაჩოქილს კარგა ხანს ებღლაძუნა, მაგრამ ზურგი ვეღარ დააკვრევინა მიწაზედ. მივიდნენ და გააშველეს. დამარცხებული არც ერთი არ იყო".

(„ივერია", 1890 წ. № 64)

„ხუთშაბათს, 14 მაისს დილის 10 საათიდგან თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შეგროვდა 400 კაცამდე, რადგანაც ამ დღეს სასწავლებელში დანიშნული იყო ყმაწვილების გიმნასტიკური ვარჯიშობა. ამ სკოლაში გიმნასტიკის მასწავლებლად არის თ. ვ. გედევანიშვილი, რომელსაც როგორც დამსწრე საზოგადოება დარწმუნდა, დიდი ყურადღება მიუქცევია თავის საქმისათვის. დამსწრე საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა ყმაწვილების სიმარდისა და მოხდენილის ვარჯიშობით".

(„ივერია", 1892 წ. № 101)

„ფოთი: „ივერიის" მე-121 №-ში დაბეჭდილი იყო ამბავი.

„ლონდონში ვიღაც ქართველნი ცხენოსნები და მოჯირითენი არიანო, რომელთაც თავიანთი ჯირითით და მღერათამაშობით ართობენ გულ-ჩახვეულ და შუბლშეკრულ ძეთა ცამოშავბედებულ ალბიონისასაო... ნეტავი ვინ უნდა იყვნენ ეს ქართველები ლონდონშიო". რადგანაც თქვენი გაზეთი ცდილობს, ყოველ მხარეში ადევნოს თვალ-ყური ქართველთა ერს, ამისათვის მეც საჭიროდ ვრაცხ, მოგახსენოთ ვინაობა ლონდონში გამგზავრებულ ქართველებისა. ესენი არიან გურულები სოფელ ჩიბათს და ლანჩხუთში მცხოვრებელნი, სხვადასხვა წოდებისა. მომეტებულად აზნაურობა. იქნება კიდევაც გაგიკვირდეთ, სად ჩიბათ-ლანჩხუთელები და სად ლონდონიო, მაგრამ არაფერი გასაკვირველი არ არის. ორი თვის წინათ ბათუმის ქალაქის ინგლისელ კონსულთან საზღვარგარეთიდგან მოვიდა ვიღაც მდიდარი კაცი, რომელსაც ჩვენში „ინგლისის თავადად უწოდებენ". ამ სტუმარს კონსულთან მყოფი გურული გრძელი ტანისამოსით მორთული „სილაღიანად" ძლიერ მოეწონა. მდიდარმა სთხოვა ამ ბიჭს თერთმეტი შენისთანა გამოწყობილი გრძელი ტანისამოსით, კარგი ცხენოსნები, მომღერალნი, მოთამაშენი მიშოვნე და თვეში გავუჩენ ყოველის ჩემის ხარჯით 50 მანეთს და წავიყვან ჩვენს ქვეყანაშიო. ექვსის თვის შემდეგ ისევ ჩემი ხარჯით აქვე მოვიყვანო". ამორჩეული ყმაწვილების წაყვანის ნებართვა გამოიტანეს ადგილობრივ გუბერნატორისაგან და ორი თვის წინად, თუ მეტისა, გაემგზავრნენ საზღვარ-გარეთ. სწორედ ეს გურულები იქნებიან ისინი, რომელთ შესახებაც გაზეთები ლაპარაკობენ."

(„ივერია", 1892 წ. № 124)

„ბათუმი: აი სახელი და გვარი იმ ქართველებისა, რომელნიც ამასწინად წაიყვანა აქედან ერთმა პარიზის თეატრის აგენტმა ლონდონში ბარნუმის ცირკისათვის: ივანე მახარაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია; ლევან ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ირაკლი ჭყონია, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე. სულ ათი კაცი".

(„ივერია", 1892 წ. № 127)

„ამას წინათ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო ლონდონიდგან მოწერილი ცნობა გურულების შესახებ. ეხლა იგივე გაზეთი სწერს: ამის გამო ლონდონის ერთის კლუბის წარმომადგენელი რ. სმიტი ჩვენს ქვეყანაში ყოფილა. საქართველოში ყოფნის დროს გაუცვნია მათი სტუმართმოყვარეობა, რაინდობა და გმირობა. ამ თვისებებით გურულთა ამხანაგობამ ინგლისელები მოხიბლაო და ამით აიხსნება, რომ იმ ადრესს, რომელიც გურულებს მიართვეს, 20.000 ინგლისელმა მოაწერა ხელი და იმათ შორის ისეთი წარჩინებული კაცების გვარი სწერია, როგორიც მაგალითად გენერალი ვილიამსია და ვიცე-პრეზიდენტი სალისბიური, ბანკირი ბელვანი და სხვ. გურულებს 12 ოქტომბერს (ახალი სტილით) გაუთავებიათ წარმოდგენების მართვა, 13 ოქტომბერს გამოსთხოვებიან ინგლისს და მარსელით კავკასიისაკენ წამოსულან".

(„ივერია", 1892 წ. № 221)

„ცირკი ძმ. ნიკიტინებისა. მოვუწოდებთ ადგილობრივ ჭიდაობის მოყვარულთ, რომელთაც ვთხოვთ ცირკის კანტორაში განაცხადონ ჭიდაობის სურვილი. მოჭიდავეებს მიეცემათ ჯილდო (პრემია)".

(„ივერია", 1903 წ. № 49)

ხუთშაბათს, 6 მარტს გაიმართება ადგილობრივი ჭიდაობა. სხვათაშორის შესდგება ორი საინტერესო ჭიდაობა: გამოჩენილ რუსულ-შვეიცარიულისა და კავკასიურ მოჭიდავეთა. პირველი, საინტერესო კავკასიური ჭიდაობა ისაკ ახალაშვილისა და ცნობილი ბათუმელი მოჭიდავე პორფირე გახოკიძისა".

(„ივერია", 1903 წ. № 52)

„პარასკევს, 7 მარტს, გაიმართება ორი საინტერესო ადგილობრივი ჭიდაობა ცნობილ მოჭიდავეთა: პირველი თედო ავალიშვილის (იგივე ლილოელი), ილია რუსიშვილთან და მეორე, გიორგი ლექავასი, გიორგი ხადურთან".

(„ივერია", 1903 წ. № 53)

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ვ. სიდამონიძემ.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

ლოარუმ აღზარდა ნიჭიერი ახალგაზრდობის მთელი თაობა, რომელთა შორის 3 სპორტის ოსტატი და 5 პირველთანრიგოსანია. სპორტული წრთობა, როგორც თვით იუკანი ამბობს, ეხმარება მას ყოველდღიურ შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სპორტის ოსტატი ი. ლოარუ კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის აქტიური წევრია. იგი საამქროს სპორტულ საბჭოში აირჩიეს. კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი ზედიზედ მესამე წელია ინარჩუნებს გარდამავალ წითელ დროშას. ამ წარმატებაში ლოარუს დიდი წვლილი მიუძღვის.

კომბინატში უკვე სამი წელია იმართება მოჭიდავეთა ასპარეზობა ლოარუს მიერ დაწესებულ გარდამავალ თასზე. წლეულს ჯილდო სამშენებლო-მექანიკური განყოფილების მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს.

— ეს თასი, — იგონებს იუკანი, — ერთ დროს მე მოვიგე ლატვიელ მოჭიდავეებთან. და, მისთვის ბრძოლამ ხელი შეუწყოს სპორტის განვითარებას ესტონეთში, რომელსაც მუდამ კარგი მოჭიდავეები ჰყავდა.

ახალბედებიდან — ჩემპიონებში

ლენინგრადი, 16 ივნისი. ნევის ქალაქის ფიზკულტურელებმა ყველაზე ახალგაზრდული შეჯიბრება უწოდეს თავიანთ სპარტაკიადას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს მიეძღვნა. მართლაც, 13,5 ათასი სპორტსმენიდან, რომლებმაც სტარტი ამ 2 კვირის წინ აიღეს, 9 ათასი 22 წლის ზღვარს არ გადასცილებია.

წინა სპარტაკიადიდან მხოლოდ 3 წელი გავიდა. ვიბორგის რაიონის 109-ე სკოლის მოსწავლე, 14 წლის ლ. გორბაჩევა ამ მოკლე ხანში უკვე ლენინგრადის ჩემპიონი გახდა. ამასთან, ბრასით 100 და 200 მეტრზე ცურვაში მან გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას.

დიდ წარმატებას მიაღწია 20 წლის ა. კრაინოვმა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა და ქალაქის რეკორდიც გააუმჯობესა სამხტომში. მისი შედეგია 16,29 მ. თავი ისახელა 21 წლის ე. სპირიდონოვმა, რომელმაც სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა თავისუფალი სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვაში. მისი ორივე შედეგი ქალაქის ახალი მიღწევაა — 55,9 და 2.03,3.

რამდენი პირადი მიღწევაა გაუმჯობესებული ისეთ სახეობებშიც კი, სადაც წარმატება წამმზომებითა და ქულებით არ იზომება. მაგალითად, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ი. ტინკოვმა სპეციალური პრიზი დაისაკუთრა: იგი ზედიზედ მეთორმეტედ გახდა ლენინგრადის ჩემპიონი. ასეთივე ჯილდო მოიპოვა მისმა კოლეგამ, „კლასიკოსმა", ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ა. როშჩინმა, რომელმაც შერკინება ხუთივეჯერ წმინდა მოგებით დაასრულა და საერთო ჯამში 10 წუთზე ნაკლები მოანდომა მათ.

ახალი მფლობელი ჰყავს ტრადიციულ პრიზს საერთო გუნდურ ჩათვლაში — არმიელ სპორტსმენთა კოლექტივი. არმიელებმა გაუსწრო წინა სპარტაკიადების უცვლელ გამარჯვებულებს — „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებს.

ქალაქის სპარტაკიადის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში.

[illegible]

ძლიერესი ძლიერესთა შორის

გუშინდელ „ლელოში" ვიუწყებოდით, რომ მოსკოვში დამთავრდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი. მოგვყავს მისი საბოლოო შედეგები:

I. ლ. შტეინი — 11, II-V. ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ა. გიპსლისი, მ. ბობოცოვი (ბულგარეთი) — 10-10, VI-VIII. ბ. სპასკი, დ. ბრონშტეინი, ლ. პორტიში (უნგრეთი) — 9,5-9,5, IX-XII. ტ. პეტროსიანი, პ. კერესი, ე. გელერი, მ. ნაიდორფი (არგენტინა) — 8,5-8,5, XIII. ფ. გეორგიუ (რუმინეთი) — 8, XIV. ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 7,5, XV-XVIII. ი. ბილეკი (უნგრეთი), მ. ფილიპი, ლ. პახმანი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ვ. ულმანი (გფრ) — 6-6.

I პრიზი თანაბარი ძალის დიდოსტატთა ტურნირში 33 წლის ლვოველი მოჭადრაკის, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის ლ. შტეინის ახალი ბრწყინვალე წარმატებაა: 6 გამარჯვება, 10 ყაიმი და 1 წაგება (გეორგიუსთან) — ასეთია მისი ნადავლი.

— სსრ კავშირის ჩემპიონატის შემდეგ, — თქვა შტეინმა, — ეს ჩემი ყველაზე დიდი წარმატებაა. ტურნირის შემადგენლობა და თვით პეტროსიანის მონაწილეობა კომენტარს არ საჭიროებს. ჩემი საუკეთესო პარტია? ალბათ, კერესთან. სტუმრებიდან მინდა აღვნიშნო პორტიში და ვეტერანი ნაიდორფი. ჩემი გეგმები? კარგად გამოვიდე სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადასა და ტუნისში მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში.

აი, რა თქვეს სხვა დიდოსტატებმა:

— ტურნირი საინტერესო იყო, — განაცხადა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა დიდოსტატმა ა. ავერბახმა. — 11-დან 6 ქულამდე „ჩარჩოში" ყველა 18 დიდოსტატი მოთავსდა. საოცრად მჭიდრო შედეგია. იგი მონაწილეთა თანაბარ ძალაზე მეტყველებს. ტურნირის ერთ-ერთი მოულოდნელობაა: მსოფლიო ჩემპიონის მოკრძალებული შედეგი. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას განსაკუთრებული მონდომებით ეთამაშებოდნენ.

როგორც არბიტრმა, უნდა გითხრათ, რომ ძალიან სასიამოვნოა ასეთი შესანიშნავი ანსამბლის დირიჟორობა. ყველაზე უკეთ თამაშობდა, რა თქმა უნდა, შტეინი, აგრეთვე, უცხოელი სტუმრები — უნგრელი პორტიში და ბულგარელი ბობოცოვი. ჩვენმა „მწვანე" დიდოსტატმა გიპსლისმა დაამტკიცა, რომ იგი შემთხვევით როდი მოხვდა საზონათაშორისო ტურნირში.

— როცა ერთდროულად ორ ტურნირში მივიღე მოწვევა, ვიფიქრე: „სჯობს მოსკოვში ბოლო ვიყო, ვიდრე მონრეალში პირველი", არც გავწბილებულვარ, თუმცა პირობა „ვერ შევასრულე", — თქვა ნაიდორფმა.

ტურნირი დაუმარცხებლად მხოლოდ ორმა — ბობოცოვმა და გიპსლისმა განვლეს.

— ჩემი შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა უფრო მოკრძალებულს ველოდი, — ამბობს ბობოცოვი. — ყველაზე მეტად დამამახსოვრდა შტეინთან შეხვედრა, რომელშიც ძლივს მივაღწიე ყაიმს.

— ეს საინტერესო ტურნირი ჩემთვის ცუდად აეწყო, — თქვა გლიგორიჩმა. — ხშირად გამძლეობა მღალატობდა, პირველ ყოვლისა, შტეინსა და ბობოცოვთან პარტიებში.

— შტეინმა დამსახურებულად გაიმარჯვა, — განაცხადა ტალმა. — დაძაბულ ტურნირში სუსტი არავინ იყო. მონაწილენი ერთმანეთისადმი ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალული. საუკეთესოა შტეინისა და გელერის პარტიები პორტიშთან.

• • •

საბჭოთა ჭადრაკის ომისშემდგომი წლების თითქმის ყველა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით დიდოსტატებს პ. კერესსა და ვ. სმისლოვს. ამიტომ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი კიდევ უფრო გაალამაზა ამ ლვაწლმოსილი დიდოსტატების მონაწილეობამ.



სურათზე: პ. კერესი (მარცხნივ) და ვ. სმისლოვი წამით თითქოს გამოეთიშნენ „ბრძოლის ველს"...

ფოტო გ. შეყილაძისა.

ჭადრაკი

პირველი პრიზი — ვ. კალანდაძეს

დნეპროპეტროვსკის საოლქო საჭადრაკო კლუბმა და გაზეთ „დნეპროპეტროვსკაია პრავდამ" ამას წინათ გამოაქვეყნეს საჭადრაკო კომპოზიციაში მათ მიერ ჩატარებული საკავშირო კონკურსის შედეგები.

ეტიუდების კონკურსში 50 კომპოზიტორის 79 ნაწარმოები იყო წარმოდგენილი.

პირველი პრიზი მიენიჭა თბილისელ ეტიუდისტს ვ. კალანდაძეს, რომელმაც ჩამოიტოვა ცნობილი შემდგენლები ვ. ნეიშტადტი (II პრიზი), ნ. კოპაევი (III), ა. ალექსეევი (IV), ვ. კოვალენკო (V) და სხვ.

აი, კალანდაძის ეტიუდიც.



თეთრები იწყებენ და იგებენ

ეტიუდისტების კონკურსის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი, სპორტის ოსტატი კომპოზიციაში გორგიევი წერს: ვ. კალანდაძემ „მარტივ პოზიციაში შინაარსიანი თამაში გააჩაღა. თეთრები იმარჯვებენ გონებამახვილურ ბრძოლაში შავების გააზრებული დაცვის მიუხედავად".

1. ეc7 ეa8+ 2. მფb5 (მხოლოდ ასე. თეთრებმა არ უნდა დაუშვან შავი ლაზიერის „დაბადება". თუ 2. მფb7, მაშინ 2. ... ეa7+ 3. მფ:a7 g1ლ+) **2. ... ეb8+ 3. მფa5 ეa8+ 4. მფb4 ეb8+ 5. მფc3 ეc8** (სხვა გზა არ ჩანს) **6. ე:c8+ მფg7 7. ეg8+ მფ:h6 8. ეd8** (d2 პაიკის აყვანას ყაიმი მოჰყვებოდა) **8. ... d1 მ+ 9. მფd2** (ყაიმი გამოდიოდა 10. ე:d1 g1ლ შემდეგაც) **9. ... g1ლ 10. ეh8+ მფg6 11. ეg8+მფ:f6 12. ე:g1 მb2 13. ეg4** მოგებით.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

◆

შვეიცარია

გათამაშების ლიდერმა — „ბაზელმა" ბოლო ტურში ფრედ ითამაშა „გრასჰოპერსთან" (2:2) და ჩემპიონობა მოიპოვა. ყოფილი ჩემპიონი „ციურიხი" II ადგილზეა.

	თ.	ბ.	ქ.
„ბაზელი"	26	61:20	40
„ციურიხი"	26	70:30	39
„ლუგანო"	26	51:29	39

რუმინეთი

ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში გათამაშების ლიდერმა — ბუქარესტის „რაპიდმა" შინ ფრედ ითამაშა პლოეშტის „პეტროლულთან" (0:0), მაგრამ ეს 1 ქულაც ეყო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

	თ.	ბ.	ქ.
„რაპიდი" (ბუქარ.)	26	39:21	34
„დინამო" (ბუქარ.)	26	38:23	32
„კრაიოვა"	26	38:32	30

ჩეხოსლოვაკია

გათამაშების ბოლო ტურში პრაღის „სპარტამ" დიდი ანგარიშით (5:0) მოუგო ტრენჩინის „იედნოტას" და ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. ყოფილმა ჩემპიონმა — პრაღის „დუკლამ" IV ადგილი დაიკავა.

	თ.	ბ.	ქ.
„სპარტა" (პრაღა)	26	53:28	37
„სლოვანი" (ბრატის.)	26	33:17	35
„სპარტაკი" (ტრნავა)	26	54:26	34

უნგრეთი

პირველობის 13 ტურის მანძილზე. ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" მხოლოდ 1 ქულა დაკარგა. მორიგ ტურში მან მოუგო „ჰონვედს". ბუდაპეშტის „ვაშაშმა" ფრედ ითამაშა „ჩეპელთან" — 0:0.

დანარჩენი შედეგები ასეთია: ეგერის „დოჟა" — „ჰალადაში" 1:2, „კომლო" — „სეგედი" 0:2, „დუნაივაროში" — მტკ 3:1, „უიპეშტ დოჟა" — „დიოშდიერი" 2:1, „ტატაბანია" — „პეჩი" 4:1, დიერის „ვაშაში" — „შალგოტარიანი" 4:0.

საუკეთესო სნაიპერია დუნაი („უიპეშტ დოჟა") — 16 გოლი.

	თ.	ბ.	ქ.
„ფერენცვაროში"	13	33:8	25
„უიპეშტ დოჟა"	13	36:12	20
„ვაშაში" (ბუდაპეშტი)	13	23:13	20

თასი, თასი, თასი...

„პენიაროლმა" წააგო

სამხრეთამერიკის საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — მონტევიდეოს „პენიაროლი" დამარცხდა ურუგვაის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში მონტევიდეოს „ნასიონალთან" (0:1) და გათამაშებას გამოეთხოვა.

ბასკები ნახევარფინალში

ოდესღაც ცნობილი ბილბაოს „ატლეტიკო", რომლის ყველა ფეხბურთელი ბასკია, ბოლო წლებში სუსტად თამაშობს, მაგრამ გასულ კვირას სასწაული მოხდა: ესპანეთის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში ბასკებმა მოუგეს მადრიდის „ატლეტიკოს" (2:0) და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც შეხვდებიან „რეალ კორდოვას".

მეორე ნახევარფინალური წყვილია „ელჩე" — „ვალენსია".

ზაგრების „დინამოს" გმირობა

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრობათა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ზაგრების „დინამო" მაინის ფრანკფურტში ადგილობრივ „აინტრახტთან" საკმაოდ დიდი ანგარიშით (0:3) დამარცხდა, იუგოსლაველებმა შინ შეძლეს რევანშის აღება და ფინალში გასვლა.

ზაგრებლებმა არნახული მონდომებით ითამაშეს და „აინტრახტის" კარში 4 „მშრალი" ბურთი გაიტანეს.

ამრიგად, ბაზრობათა თასის ორ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისის „ლიდს იუნაიტედი" და ზაგრების „დინამო". 30 აგვისტოს გუნდები ითამაშებენ ზაგრებში, ხოლო 6 სექტემბერს — ლიდსში.

კასიუს კლეის ვაჟკაცობა

ეს სურათი ამერიკის თითქმის ყველა გაზეთში დაიბეჭდა. ბადრაგით მიჰყავთ მსოფლიო ჩემპიონი, მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივე კასიუს კლეი. სურათი გადაღებულია ჰიუსტონის გასაწვევი პუნქტის დერეფნებში. სწორედ აქ თქვა კლეიმ უარი ვიეტნამში ომზე.

კასიუს კლეი ახლაც აგრძელებს ბრძოლას, თუმცა, მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციამ მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა პენტაგონის ჩაგონებით. 19 ივნისს ცნობილ მოკრივეს სასამართლო ელის.

კლეის მსოფლიო იცნობს და იბრძვის მის დასაცავად. ამიტომაა, რომ ამერიკის იუსტიცია თავის ნებაზე ვერ უსწორდება სახელგანთქმულ სპორტსმენს.

[illegible]

„ბებერი მოტოციკლებით"...

პარდუბიცე, 17 ივნისი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში მოტოციკლების მეტისმეტად უჩვეულო გამოფენა გაიხსნა: აქ წარმოდგენილია ხამოტოციკლო ეპოქის პიონერები. ყველაზე ძველ ექსპონატად ფრანგული წარმოების მოტოციკლი მოგვევლინა. მისი დაბადების წელია 1899. „ბებერ ფრანგზე" მხოლოდ 8 წლით ახალგაზრდაა ჩეხოსლოვაკიური მარკის მანქანა „ლაურინი და კლემენტი".

ყველაზე საინტერესო მაინც ის გახლავთ, რომ გამოფენის დახურვის დღეს — 24 ივნისს შეამოწმებენ, შერჩათ თუ არა სამუზეუმო ექსპონატებს ქანცი: მოეწყობა რბოლა ამ მოტოციკლებით.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის
სპორტულ
ბაზები

ველოსპორტი (ტრეკი). ველოსტადიონი (კამოს ქ. № 89). 18-19 ივნისი. საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო — რუმინეთი. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 უე 03282